



საქართველო

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-14/1795

ქ. თბილისი

18 07 2018 წ.

დისერტაციის დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2018 წლის 8 ივნისის (ოქმი №13) გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დაინიშნოს დოქტორანტ თამაზ თოდრაძის (პირადი №01008050710), რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა - „საჯარო მმართველობა“, სადისერტაციო თემა - „საბჭოთა კავშირის მმართველობითი ხარვეზები მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში“.

სადისერტაციო კოლეგია:

- პროფესორი გენადი იაშვილი (სტუ, თავმჯდომარე);
- პროფესორი შოთა დოლონაძე (სტუ, ხელმძღვანელი);
- პროფესორი ოთარ ქოჩორაძე (სტუ, რეცენზენტი);
- პროფესორი არსენ გვიმრაძე (დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, რეცენზენტი);
- პროფესორი კონსტანტინე აბულაძე (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი დავით ლელაძე (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი თამარ რევაზიშვილი (სტუ);
- პროფესორი თამარ კვიციანი (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი);
- პროფესორი ნიკა ჩიტაძე (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი).

2. დისერტაციის დაცვა შედგეს 2018 წლის 23 ივლისს, 12<sup>00</sup> საათზე, სტუ-ის VI კორპუსის 105 აუდიტორიაში.

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი